*პროექტი*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**---იანვარი 2023 წელი**

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ქედის შესახვევისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის მწერლის დემნა შენგელაიას სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ქედის შესახვევს და მასთან არსებულ ორ ჩიხს მიენიჭოს მწერლის დემნა შენგელაიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


ელენე ახვლედიანის ქუჩა
NAPR
1 : 533



**დემნა შენგელაია**

**(1896—1980)**

**ქართველი მწერალი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

თავდაპირველად სასწავლებლად თბილისის რკინიგზის სკოლაში მიაბარეს, შემდგომ კი ქართულ გიმნაზიაში გადაიყვანეს, რომელიც 1917 წელს დაასრულა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დემნა შენგელაია სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში გაემგზავრა, თუმცა რამდენიმე თვეში უკან დაბრუნდა და 1917–1919 წლებში, როგორც საქართველოს შეიარაღებული არმიის რიგითი ჯარისკაცი მონაწილეობას იღებდა სამხრეთის ფრონტზე მიმდინარე საომარ ოპერაციებში, სადაც დაჭრილა კიდეც.

1920 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტზე, მაგრამ 1922 წელს სწავლას თავი დაანება და აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგა. 1932 წელს დემნა შენგელაია სასწავლებლად შედის თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიის ფაკულტეტზე. მიუხედავად იმისა, რომ გატაცებით ეუფლებოდა ახალ სპეციალობას, სამი წლის შემდეგ თავი მიანება სწავლას და შემოქმედებით მოღვაწეობაზე გადაერთო.

სხვადასხვა დროს იყო სამწერლო ორგანიზაციის პრეზიდიუმისა და ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების რედკოლეგიათა წევრი, „მწერალთა რესპუბლიკურ და საკავშირო ყრილობათა" დელეგატი, პროზისა და მთარგმნელობითი სექციების ხელმძღვანელი, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას" მთავარი რედაქტორი, მეორე მსოფლიო ომის წლებში ფრონტული გაზეთის რედაქტორი და სხვ.

აქტიური ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დემნა შენგელაია დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით 1969 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.